მე ეხლა გული გადავირაზე. ო, ბედმა ასე რისთვის იზანტ... ვადაქანება ისევ ყირაზე და უფსკრულში ახალ მიზნათა მე სხვა ქვეყანა უფრო მინდიოდა და გადაფრანა სხვა მწვერვალებითა... ეხლა ქარა. უკამისლობა და ისევ ცრემლი დალილი თვალგებთან.

დედაო, ნინო, ნინო ასული, ჯვარზე იმედის თმები დამიწან ჩანანს სარკეში ფერგადასული სიცივე, ლმობი და დიდამიწა.

ი. მოხაშვილი.


1924. ს. ქედი. ნინოს საფლავი.



რეჟინი მხასხვრები

იოსებო ქიკოლაძე

ა. ლუნაჩარსკის



— ვიცნობ რუსულ მძაფრ ენებს,
 ვიცი საქართველოცა,
 შიშ მშვენივას შეიგრძენს
 ზღვა, კლდე, ტყე და მდელოცა.
 ქარიშხლიან დღეების
 წყლით მრავლგზით უნახავს,
 მაგრამ სევდის წამლების
 გზებით გამოუნახავს...
 პოეზიის ამ სანგრებს
 შოთა თან სდებს გულითა,
 აფოლაღებს, ამაგრებს
 ქართლ-კახურ სიყვარულითა...
 თავს ევლება ფრთა ორბის
 და ყვავილი მცინარე,
 მთიდან ასჯგზით ჩამორბის
 ას-წლოვანი მდინარე.
 მას უყუნთან აეთებს
 გამჭვირვალე სიტყვის თქმა
 (ვით ამ აზრებს აღმერთებს
 ჩუმად, რომ გაირითმა).
 შენთვის მუღამ დავრჩებით
 წმინდა ფრთები ცის წერს
 და მსუფს ტანით ფარჩებით
 ფიჭვმა გამშვენებოს.

იოსებო ქიკოლაძე
 ენისი,
 გაროფული ქალაქი.

ალეგის ცეკვა

იოსებ იმედაშვილის პოესიანი.
 იხ. „თ და ცხ.“ № 11 „მასწ— მხატვარი“ და მოზაეალი № 15-ბი.

თოვლი

მოღის დაშე მძიმე
 სიჩუმე და თოვლი:
 მხოლოდ ქარს არ სძინავს,
 თოვლის ფიფქვითა ქროლვითი.

და უდაბნო თეთრი
 რაღაც სევდის მალავს:
 ქარი ფიფქვებს ათრევს,
 ქარი ფიფქვებს დალავს.

და თოვს ისე სუფთათ,
 ვით ცრემლს თვალის გუბე...
 თოვლი ისე სუსტი,
 როგორც ბავშვის კუბო...

თოვლი— მეფე ღირი
 შეშლილი და მკრთალი:
 საღლატო მტელში სტირის
 დაცემული ქალი.

თამარ გოგელია.



მ. ი. ლეონოვა

სახელმწიფო ოპერის პრემია-ბალერინა
 (სოპრანო) და ცხოვრება—ს საღამოს სახსტრად, ევლისის 5
 ახალ კლუბში).

განსჯორის თეატრი

ამ სახეულს სხვადასხვა დასთა შორის ტუ ეწეა მასტფორის თეატრი—ნიკ. მ. ფორეგერის სახელოსნო, რომელმაც ძალზე მიიზიდა ტუ. საზოგადოების ყოველი წრე და საზოგადოებაში და პრესაში აზრთა შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ამ აზრთა სხვადასხვაობა კიდევ უფრო მეტად გამოიჩინა ფორეგერის მიერ გამართულ დისკუტზე. ვინ არის და რას წარმოადგენს ფორეგერი?



6. მ. ფორეგერი.

ახალ თეატრის და ცეკვის სახელოსნოს ხელმძღვანელი.

ნიკ. მის. ფორეგერი ვენერელი ნემეცია, ახალგაზრდა, უმაღლესი განათლებით აღტურვილი, მსახიობი. მოსკოვში იგი საკამერო თეატრის რეჟისორ თაიროვთან მოუშობდა, შემდეგ საკუთარი სანაღბო თეატრი შექმნა. პირველხანად ეს თეატრი სდგავდა საავტოტო პრესებს, შემდეგ პაროდებს—ცხოვრების ყოველ სიმახინჯეს სასაცილოდ იღებდა. ყოველივე ამას ასრულებდა ბუფონადისა და გროტესკის გეგმით (რითაც მთელი მოსკოვის ყურადღება მიიპყრო და 1921—23 წწ. ერთ სახელოვან რეჟისორად ითვლებოდა). შემდეგ თან და თან ექსცენტრიულ თეატრზე გადავიდა. (მისი ერთი საუკეთესო დაღვამთავანია „ქანადის კუნძულთა საიდუმლო“ უკანასკნელ ხანში—„ცოცხალი მკვდარი“ ანუ „უკულის ხეობა“). დრამასთან ერთად ფორეგერმა დიდი ყურადღება მიაქცია ცეკვს და ცეკვა-თამაშის ახალ-ახალ სახეების შექმნაში უმაღლეს ხარისხს მიიღწია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი „მანქანის ცეკვა“ (მოსკოვში მუშათა წინაშე ამ ცეკვის შესრულების დროს ხშირად ვაიკონდით: „აი ჩემი მანქანა ასე მუშაობს, ეს ჩემი მანქანაა“), რეპერტუარში შეტანილი აქვს ცეროპიისა და ამერიკის სხვადასხვა ერთა ცეკვანი, უმეტესად გაზარეულნი.

მის მსახიობთა თითქმის ნახევარზე მეტი მუშათა წრისად არის გამოსული, დანარჩენი—მღაბიო მოქალაქენი, სუყველა საშუალო განათლებით, ზოგიერთებს ვთავაიებული აქვთ სამსახიობო სისწავლებე-

ლი, სათეატრო ასპარეზზე მუშაობენ 5—6 წ. ლები უმთავრესად მოსკოვის საბალეტო სკოლიდან არიან: ლუდემილა სემინოვა, ნად. კორონცოვა, ბარ. ალსკია, ევ. დანილოვა, ადა გოროდცკაია, თამ. ტომბს, ტატ. ოსტროვსკია; ვიები: ნ. მ. ფორეგერი—მთავარი რეჟისორი—ლაბორანტი, იური გოლცივი—ლაბორანტი, ვლ. პეტროვი, თედ. არბი-ნევი, ივ. ჩელოვი, ნიკ. პოსპეხინი, გრ. ნაუშოვი, გრ. შამშორინი, ევ. დარსკი, პიანისტი—რადაკო. დასის ყველა წევრებს საკუთარი ტანისამოსი აქვთ, საკუთარი ბუტფორთა, რეკვიზიტი.

დასმა მცირე ხნის განმავლობაში სახელი გაითქვა ევროპასა და ამერიკაში. კინომ გადილო ლენტებზე, ამერიკის პრესა დიდის ყურადღებით ეპყრება. შრომის ნაკვეთიერო კავშირმა (მოტმა) მოსკოვში გადილო ამ დასის „მანქანის ცეკვის“ ნიმუშები მუშათა წრეებში შრომის პირობათა გასაუფჯობისებლად—შრომის დასაზოგავად. დასს განუზრახავს ამ ხამთარს ტფილისში დარჩეს, ადგილობრივი ცეკვებით რეპერტუარი შეივსოს და შემდეგ რუსეთისა და ევროპას გაეგზავროს.

არიან ადამიანები, რომლებიც ტუეებს იბრუწვენ ადამ და ევას ტანსამოსში გამოსულ ქალვავათა დანახვაზე, ვითომც სცხვენიათ იტეც, მაგრამ ამავე დროს ყველა ამჩნევს, რომ აქ არის ერთგვარი სიხსლე, დრო-მოკმულ, ერთფეროვულ სხეულის ცალმხრივ მოძრაობის მაგიერ მისი მრავალმხრივი ამეტყველება, რაიცა იწვევს სხეულის ყოველმხრივ განვითარება. გაჯანსაღებას, ხოლო რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული ჩიბუღდება და აღიზრდება, ეს ვინ არ იცი.

ფორეგერმა და მისმა დასმა დამტკიცა, რომ აღამიანის სხეულს შეუძლიან ყოველმხრივი მოქნილობის გამოჩენა და ცეკვით სხვადასხვა მოვლენადის გაღმოცემა. ნახეთ მისი „მანქანათა ცეკვა“, „მომაკდავი გევი“, „მარტარბელი“, „მოქიშპინი“, და მრ. სხ და მაშინ დარწმუნდებით, თა შესძლებია აღამიანს. ფორეგერი ჯერ კიდევ ძიებანია და ვესტრვით გამარჯვება.

იოსებ არიმათიელი.



ბალამინისძე არაბოში

(იოტტრი და ცხოვ. საღამოს სახეობრად, იღლისის 5 ახალ კლუბში)

ქანდაკება

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 9).

ნინო. სთქვი! ბარემ ყველაფერი სთქვი! (კრემლზეს მოიწმენდას).

ლევ. მაპატიე, ნინო, მაპატიე.

ნინო. ჩემს თვალებზე უჩვეულად მომდგარი კრემლი ნუ შევაშინებს. სთქვი, რაც სათქმელი გაქვს. რაღას გაიწმინდა?

ლევ. (დაღონებული სდვას. პაუზის შემდეგ) მაპატიე.

ნინო. (ძველებური სიმტკიცით) თუ მონანიება გულწრფელია, შესარულებ იმას, რასაც გეტყვი. აქ მოდი! (საწერ მაგიდასთან მიიყვანს და სძახე დასწავს) იცოდ, ლევან, არჩილი ჩვენთვის ძალიან სასარგებლო კაცია. ბევრი სამსახური გავეიწია, ვერ კიდევ ბევრი სამსახურის გაუწევს გვაპირდება; ამისთანა სასარგებლო ხალხის ესე ფულსავატარი მომდგარება, როგორც შენ ჩაიბინე, არ შემიძლიან. ამიჯრომ დასწერე, რომ ყველაფერი, რაც დღეს მოხდა, შენი ნებრევბის ბრალია. ბოდიში მოიხადე და სთხოვე დარიჩეს.

ლევ. ნინო! ეგ ხომ ჩემი საშინელი დამცირებაა!

ნინო. დასწერე! (ლევანი მაგიდასთან დაჯდებოდა. ნინო ზევიდან დასცქერის).

ფ ა რ დ ა

მასხავე მოქმედება.

ლევანის სახელოსნო. შუშაბანდინი კერიდან უხვად შემოდის სინათლე. იატაკზე რბილი ნაჯრის აფერი საყვინა გაშლილია. აქა-იქ კედლებზე ფანქრით დახატული ესკიზები ჰქიდა. მარცხენა უკანა კონსტრუქციული კომერსანტის დაუშვარებელი გამტკრიანებული ბიუსტი. იქვე ახლო დაუშვარებელი ბიუსტები და თახეზა. სცენის მარჯვენა მხარეს რუსულ-რა დივანი და სავარძლები სდვას, დივანთან მაგიდა, რომელზედაც ყავის სერვიზი აწყვილია. სცენის მარცხენა მხარეს, ცოტა შუგულ ადგილას, დასაყრდნობად ახალი ქანდაკების თანა აღმართული, გადაფარებული სველ ტილოში ქალის სხეულის კონტურები მოჩანს.

ფარდის ახდისის სცენაზეა **ლევანი** და **ლუარსაბი**. ლუარსაბი დივანზე ზის და ყავას სვამს. ლევანს ჯიბებში ხელები უწყვილია და დადის.

ლევ. (მცირე პაუზის შემდეგ) ეს გახუნებული პიჯაკი ყველაფერს აგინხნის, ჩემო ლუარსაბ! შენთან რაღა დავაძლიო! ძალიან გამოვიჩრდა. ოჯახში ხარჯებს არ ამქციობენ. შემოსავალმა კი იკლო. უკან დახევა აღარ შემიძლიან. (სიყვარულით ქანდაკებას უცქერის) ეს თინა, რომელიც ვერ შენთივსაც საიდუმლოებას შეადგენს, მალე მარმარილოს ქანდაკებად გადაიქცევა. ქარიშხალში სიციცხლე იშვა, მაგრამ... მიჯაკი კი შემომეცვითა. სხვაფერია ვაჭარბარი ვაჭარბება მაგას. ხომ ხედავ, კომერსანტის ბიუსტი ნა პირქმულ გამოიფურება? შემომწყურალი მყავს. რაც ეს ქანდაკება დავიწყე, ხელი არ მომიკიდებია. ვაჯაფერებულმა ტანზე პიჯაკი შემომაცვითა, ეხლა ხომ გესმის, რაოცად დივიანერ სოფლიდან?

ლუარ. აღბათ კიდევ რამის გაყიდვას აპირებ (ცოტა რამ მინც დაიტოვე).

ლევ. მერე გზა არ არის. (პაუზა)

ლუარ. იქნება იოლათ წვაილეთ. რამდენი გპირდება. ყველაფერს ხომ ვერ გააყიდებ? რაც საუკეთესო მიწები გაქვდა, ვაჰყიდე. იენახი-ლა დაგრაჩა. ეგემო რომ გაყიდა, რაღა დაგრაჩება?

ლევ. სხვა გზა არა მაქვს, ჩემო ლუარსაბ! ქანდაკებას ხომ თავს ვერ დავანებებ? ხომ იცი, ქანდაკება ჩემთვის ყველაფერია.

ლუარ. მინც, რამდენი გპირდება?

ლევ. (სასტოვრებლად მინდა; ორი სამი თვე კიდევ როგორც უნდა გავძლო).

ლუარ. (ჯიბებში ხელს ჩაიყოფს) ცოტა ფული თან მაქვს. შემიძლიან მოგტე.

ლევ. (გამბიარულბული) რა კარგია! ავანსს უკან დაბრუნებ. რომ იცოდ, ეს წყვეული ავანსი როგორ მაშუქებდა: რაც უნდა გატაცებული მიმეშვა, კომერსანტის ქანდაკებას შევხედვდი თუ არა, სისხლი მედღვრიოდა და ხალისი მიკარგებოდა.

ლუარ. რამდენი გინდა?

ლევ. ჩემმა კოლმა მგონი ორმოცი თუმანი გამოართვა.

ლუარ. (ფულს გადასცემს) აჰა. აქ ორმოცდაათია.

ლევ. (გარბობით ხელს ჩამოართმევს) მადლობელი ვარ, ჩემო ლუარსაბ! (ფულს ჯიბებში იღებს და თან თავისთვის დაპარაკობს) ამას კომერსანტის მივეცემ... სალაპარაკო აღარაფერი ექნებათ... მადლობა ოღეროს... ველარაგინ მისაცვედურებს.

ლუარ. (წაბოლებუა და კომერსანტის ბიუსტსკენ გაემართება). ეს არის კომერსანტი? შენი შემოქმედებით აღმაფრენა როგორადაც ამ ძეგრფასი გავიხს (ცხვირზე გაყინულა. რას ენაობლებინდი?)

ლევ. აი დასწყველოს ოღერთა მაგის ვაჩნის დლე! მაგრამ კომერსანტი კეთილი და პატოსანი აღამიანი ყოფილა. წარმოიდგინე, ვემოვნებაც ჰქონია. აი, ხომ ხედავ, ამ აღვლას, შეზბლთან, პატარა ნაოკი აქვს. ცოტა დაფერებულ შთაბეჭდილვასა ჰქმნის. არ ვიცი, იმასა ჰქონდა იმ დროს ნაოკი, თუ ჩემმა გაზრახებამ მისცა ასეთი გამომეტყველება. (დახედ, გაიღიმა და მიიზბრა, არ შეიძლება შეზბლიდან ეს ნაოკი მოხსნან, აღდონებულ გამომეტყველებას მაძღვეს, მე კი ოპტიმისტი ვარო, გესმის? ოპტიმისტი! კომერსანტი ოპტიმისტი! კომერსანტი სინმატორი აღამიანია, ქანდაკებაა საძაგელი, დასწყვიელოს დემრთმა!..)

ლუარ. მაშ, მომავალი გამოფენისთვის შენი ახალი ქანდაკება მზათ ექნება?

ლევ. უფრო ადრე. თინა თითქმის მზათა მაქვს. ცოტაოდენი შეცთება სჭირდება. (გარბობით) ნახავ, მალე ნახავ, ჩემო ლუარსაბ! შენ ერთად ერთი აღამიანი იყავი, როგორც ცხოველის საშინელ წუთებში მამხნეებდი და იმდენ არ მიკარგავდი. როდესაც ამ ტილოს ჩამოგხსნი, დარწმუნდები, რომ შენს ამავე მუქთად არ ჩაუყვლია! მაშინ ჩემი მტრებიც გაზომდებიან.

ლუარ. მტრები?

ლევ. (აღლებუა შეეჩნევა, ქანდაკებაზე მიუთითებს) აი იმასა ჰყავს მტრები. მაგრამ ველარა-

191
196
194

ფერს გახდებიან. ოგი უკვე ამავე აღიშრათა, უკვე ცოცხალი არსებაა. ქალწოლის ფეხბა ქვეშ უმწველად გაშლარათული ადამიანის დაქიმულ მარღებში ჩემი სისხლი ტრიალებს, სისხლი ჩემი გულისა. მტრები კი ჰყავს. მტერი, რომელიც ყოველ წუთს იმ აქ, ამ ოთახის კუნძულებში სდარაჯობს და თავისი ბოროტი, შეურაცხველი თვალით. განადგურებას უქადის.

(გარედან ისმის არჩილის დილინი: «ტრა-ლა-ლა, ტრუ-ლუ-ლუ, ტრა-ლა-ლა, ტრუ-ლუ-ლუ».)

ლუარა. გვეც ხომ შენი მტერი არ არის?

ლევ. (ლუარასად თვალბეჭეში ჩააცქერდება) შენ გვანია, დანაშაულის მტრები მდევ-გმირები არიან? ხომ იცი, უხილავი ვიბრირი სხეულის როგორა სწამლავს? ესენიც ცხურების ვიბრირების არიან. საშინლად მრავლებიან და გვეწამლავენ. რას იცინი? ტყუილს ვამბობ?

არჩ. (ღლიღით შემოდის. ქედა კევაზე აქვს მოგდებული, ჯოხს ხელში ატრიალებს) ტრა-ლა-ლა, ტრუ-ლუ-ლუ! ტრა-ლა-ლა, ტრუ-ლუ-ლუ! (ორთავებს ქედა მოუხდის) სალაში დარბაისელთ! (ლევანი ოდნავ თავს დაუტრავს, ლუარასაბი ცნობისმოყვარობით უცქერის) რა შესანიშნავი სახე-ლესნოა! აი ეს მომწონს! ევროპიულად არის მოწყობილი, დიას, ევროპიულად! წარმოიდგინეთ, რა შესანიშნავი იქნებოდა, აი ამ კუთხეში იაპონური ვაზა რომ დაეცვლიდა. დიას, ოთახი მაშინ უფრო დამშვენდებოდა! აი ეს შირმა ცოტა აქეთ რომ მოსწოთ. მაშინდინეთ, ეხლავე დაგიღებებთ. (შირმას ხელს წააქვლებს.)

ლევ. (ხელს დაუტყრს) უკაცრავად, უკაცრავად!

არჩ. არა უშეხრა. ეგ მე არ შემაწყუხებს. პირიქით, შესაძლოა კიდევ. წარმოიდგინეთ, უცხოეთში არტისტების წრეში ვტრიალებდი და არტისტებს ხომ იცით, როგორ უყვართ გემოვნებით მოწყობა. ესეც ხომ არტისტის ოთახია, ხელოვნების ტაძარი, სადაც შემოქმედება სდღეს და გადმოღულს! დიას, ხელოვნების ტაძარი! ღმერთს გფიცვებით, ეს შირმა რომ ცოტა აქეთ მოეწოთ...

ლევ. ლეთის გულსითვის, ლეთის გულსითვის! შირმა სულ სხვა დანიშნულებსათვის არის მოტანილი.

არჩ. (იციანს) ეგ სხვა საქმეა. არ ვიცოდი. (შირმის უკან შეიხედვს. ცინიზმით) ტახტეც არის.

ლევ. (აღშფოთებულად) ბატონო არჩილ. ნუ გავიწყდებათ ვისთანა ხართ.

არჩ. (დარცხენილი) უკაცრავად, ბოდიშს ვიხდი. თქვენ, ბატონო ლევან, ამისთანა ექვები არ შეგებებთ... მე... ვიხუმრე.. დახა... ვიხუმრე.

ლევ. იმედია შემდეგში უფრო ფრთხილად იხუმრებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს ევროპულ ჰერსონას შესაძლებელია ხიფათი რამ გადახდეს. მიიღეთ ჩემგან ეს მეგობრული რჩევა და დარიგება.

არჩ. უკაცრავად. ბოდიშს ვიხდი. მე მხოლოდ იმიტომ მოგახსენეთ, რომ უცხოეთში...

ლუარა (უჩბად გაბრაზებული წამოგორღობება) ალარ გაიმეორით... ალარ გვინდა უცხოეთი...

არჩ. (შემკრთალი უკან დაიწევს) რა დაგეპართათ?

ლუარა. ალარ გვინდა უცხოეთი!

არჩ. ნუ გნებავთ, ბატონო! რალსა ბრაზობთ?

ლუარა. უცხოეთში ღორები არიან?

არჩ. რა გნებავთ მაგითი სთქვათ?

ლუარა. უცხოეთში ღორები არიან მეთქი?

არჩ. ბატონო ლუარასაბ, მე ნებას არ მოვცემ მასხართ ამიგდოთ! ბატონო ლევან! თქვენ სახლში ვართ. ვთხოვთ დაუშნაშურებელი შეურაცხველისაგან დამიფაროთ.

ლუარა. გვეკითხებით, უცხოეთში ღორები არიან?

არჩ. (გაოცებული უკან დაიწევს) რა გნებავთ, ბატონო! მე შეიღორ არ გახლავართ და ამიტომ არც ვიცი, არიან თუ არა. თქვენ, ალბათ, ეგ უკეთესად მოგეხსენებათ, თუმცა უცხოეთში არა ყოფილხართ.

ლევ. (გადიხარხარებს) გაჯობა, ლუარასაბ, გაჯობა!

ლუარა. (გაცივდება. ბუზღუნთა). ევროპეელი! (გამობრუნდება და სავარძელში ჩაჯდება).

არჩ. ყოველ შემთხვევაში აქ იმიტომ არ მოვედო, შეურაცხველი და დაქცევა მოვისმინო. (ლევანს) მე თქვენთანა მაქვს საქმე.

ლევ. რით შემეძლიან გემსახუროთ?

არჩ. კომერსანტი მოვიდა.

ლევ. რა მინდაო.

არჩ. ბიუსტის დამთავრებასა თხოულობს. მგონია უფლება აქვს. თქვენ როგორა ჰუიქობთ, ბატონო ლევან? რა უაქსუბოთ?

ლევ. უფლება? კიდევ რა უფლება აქვს, ბატონო არჩილ? ექნება სურს კისრებზე თოკი მოვიბა, თოკის ზოლო ხელში ჩაუღო და გუ-ე-ზო ესდო იმ მასხარასავით, რომელიც თავის თავს ბედნიერად მხოლოდ მაშინა გრანობდა, როდესაც ბატონი თავში წიკვალს უტყავუნებდა.

არჩ. გნა საევეთო მიგანიათ, რომ კომერსანტს უფლება აქვს ბიუსტის დამთავრება მოგთხოვით? მან ეს უფლება იყიდა... დიას... ფულით შეიძინა. იცოდეთ, ბატონო ლევან, კომერსანტი უხვი კაცია, მაგრამ დანდობა არ იცის. მე, მოგეხსენებად, უცხოეთში კომერსანტების წრეში ვტრიალებდი და ვიცი, რომ პირობის დარღვევა დიდს დანაშაულად არის მიჩნეული.

ლუარა. ეგ ყველფერი კარგი, მაგრამ თქვენ რა გაწუხებთ?

არჩ. ეგ თქვენი საქმე არ გახლავთ. (ლევანს) რაკი კომერსანტი თითონ მოვიდა, სჩანს...

(შემდეგი იქნება)

აღმოსავლეთის საფუსიკო საკრავები



ოსმალურ ეურ. მილი-
ლი თათბოლარ მაჯამაი-
სი 1331 პიჯრით (1912
წ.) მე-5 ნომერში „თურქ
სახლარი“-ს სათაურით
დაბეჭდა მუსიკოს რაჟფ
იქეთას წერილი. როგორც
თვით რ. იქეთა აღნიშ-
ნავს, მას ხელთ ჩავარდ-
ნია ჰიჯრით მეცხრე საუ-
კუნეში დაწერილი აჰმეთ
ოღლი შუქურთულას
დავთარი, საცა ცხრა სა-
მუსიკო საკრავთა შინა-
არსი და ბგერაა აღნუს-
ხული: 1. იკლილი, 2. რე-
ბამ, 3. მულნი, 4. უდ, 5.
მიზმარ, 6. ფიფია, 7. ჩანგ,
8. კანუნ და 9. ნუზხა.
იქეთას „თურქულ“ საფ-
სიკო საკრავების დანამდ-
ვილებითი გაცნობლად
სხეებდული დავთარი ერ-
თადერთ და უტყუარ
წყაროდ მიჩნია; გვონებ
იგი არც ჩვენთვის უნდა
იყოს ინტერესს მოკლე-
ბული, რადგანაც ერთ
დროს აღმოსავლეთის მუს-
სიკალურ ხელოვნებით
ჩვენც ვამაყობდით და
უსათუოდ მის აღორძინე-
ბის ხანაშიაც მივიღებთ
მონაწილეობას.

ორიგინალის მთლიანად
გადმოლება მეტად მიგვა-
ჩნია, ვთარგმნით მხოლოდ
ორ მუხლს—ჩანგი და მუ-
ლნი. მიზმარ და უდიცაა
ჩვენში ცნობილი (ფ. გოროგიჯანიძის
ნაშრომი 30, შანამეს ქართული
ვერსიები, 203), მაგრამ შოთას მი-
ერ ნაქები ჩანგი უფრო გვიჩიდავს:


„ჩანანა და ჩანგი
ტკბილი“ (პირვე-
ლის შესახებ გე-
ქონია საუბარი
—თეატრი და
ცხოვრება“ 1918
წ. № 2; „ქარ-
თული სიტყვა“
1924 წ. № 21),
„მოვშორდი ლხი
ნსა ყოველსა,
ჩანგსა, ბარბითი
სა და ნასა“ ან
„ჩანგ, ბარბითი და
ნა ცემული“.
(იგულისხმება:
ჩანგი, ბარბითი
და ნაი. უკანასკ-
ნელს ჩვენმა ლე-
ქსიკოგრაფებმა
შეცდომით „ნა“
და „ნასა“ დაარ-
ქვეს).

მულნიც ძველა-
დაა ჩვენში ცნო-
ბილი: რუსულად-

ნინი ნ51 (წ. კ. წიგნთსაცავის ხელთნაწერებში
№ 3698. რუსულდანიანი დაწერილა XIII საუკ. ა. ხა-
ხანაშვილი ქარ. სიტყვ. ისტ. 421), დაბადება 1 მეფე
I0,5 (დაბადება ქართულად გადმოითარგმნა მეექვსე
საუკუნეში. მ. ჯანაშვილის ნაშრომი III, 37). ორიგი-
ნალი დაწერილია ძველ ოსმალურ ენით და ბეგრ
ადგილას აზრი ძველად ირკვევა; ჩვენ ესარგებ-
ლობთ ენის ცოდნით და აგრედვე მუსიკაში მრავ-
ალწლოვანი პრაქტიკაც გვადიფილებს მის გადმო-
თარგმნას, რომელიც ექვს გარეშე უნდა იყოს. წერი-
ლი გაგვიტყულებოდა, მთლიანი კომენტარია რომ
გაგვეტყუებინა, მებრამ ზოგ ადვილს კი ვერ დაე-
ტრევეთ უყურადღებოდ: მიზმარი (№ 5) ძველ ებ-



როგორი სიტყვა და ნიშნავს ფსალმუნს (იგივე ანსკოლოდაც Сбор. материалов 1894 г. вып. XX), მაგრამ აქ სალომურს გვიჩვენებს: ქართული ფსალმონი, სლავ.—სალტირ, არაბ.—სანთირ ანუ სანდურ (სანთირი); ეს საკრავი ებრაელურ დაბადებაში ნახვარია წილწილ (ჩვენში ცნობ. წინწილა ფს. 150, მ; შოთა 46; შათელი 44) და იგი სალომურს არ უნდა ნიშნავდეს. მდინე, როგორც საკრავის სახელწოდება, გარდა ქართლისა არც ერთ ენაზე არ შემხვედრია (არაბული—მოლანი—მომღერალი ანუ ლექსის მოქმედი, მდინე მდიდარი ვინმე).



სამწუხაროდ აღმოსავლეთის მუსიკის ჯერ არა ჰყავს ნამდვილი ისტორიკოსი; ჯერ-ჯერობით ისიც უნდა გვაინტერესებდეს, თუ მის შესახებ სადმე რამე თქმულა. (თარგმანი შემდეგ ნომერში).

აღ. ოღნეზაშვილი.

ჩვენსი ქალები

ქალთა მე-12 ტენიკუმის დაბრუნებაში ამავე ტენიკუმის მე-7 კლასის მოწაფეთა მიერ ივნისის 8 მოწაფილ იქნა დილა მათ მიერ კურსის დამთავრების აღსანიშნავად.

დილის დაწყებამდე მასწავლებელმა როდონ ქორქიამ მოკლე სიტყვით ამცნო დამსწრეთ, რომ იდგია, გვგმა ამ დილისა შემუშავებული იყო თვით მოწაფეთა მიერ დამოუკიდებლად მასწავლებლებსაგან, რომლებმაც მხოლოდ ტენიკური დახმარება გაუწიეს მათ. ბ-ნ ქორქიამ ხაზი გაუწია იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ამ დილაში სჩანს მოწაფეთა შეხედულება თავის დანიშნულებაზე და რომ ეს შეხედულება არის არა ნაკარხნებით, არამედ მოწაფის კონცხით შექმნილი. გარდა ამისა მან აღნიშნა, რომ დილა გვიჩვენებდა ქალს მონობიდან დაწყებულს თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებამდე მივლი მისი მღვთმარობის ტრაგიზმით, და რომ ამისთან პარალელურად ნაჩვენები იქნებოდა ტოპი ქალისა, რომელიც გამოიმუშავა ქართველი ერის ფსახლოვანებაში ქართველი დედის სახით.

დასასრულ მან აღნიშნა თვით მოწაფეთა შეხედულება, თუ როგორი უნდა იყოს ქალი ეხლა, როდესაც იქნება ახალი ქვეყანი.

დილა დაიწყო მოწაფე ელენე მამაცაშვილის სიტყვით, რაც გაშუქება იყო აღებული იდგისა. მოგვყავს ეს სიტყვა:

„დიდიდან ჩვენ ფეხს ვდგავთ ცხოვრებაში როგორც საზოგადოების სრულყოფილებით წვეწრი, ჩვენი მომავალი წინ არის. არ ვიცით როგორი იქნება ის; მაგრამ მისი ფესვები უკვე ღრმად გადგმულია ჩვენში, საძირკველი ჩაკროლია. ამიერიდან ჩვენ ვაქანებას უფრო ფართო ასპარეზო ვშობა წინ. ჯერ-ჯერ ეს დილა მოწაფობით ჩვენს მიერ უკანასკნელი ნაყოფი ჩვენი გენიანობის კედელზე ნაშრომის. ჩვენი მიზანია დღეს შემოღობისადაცარად სქემატურად ასახვა ქალის ყოფნისა ცხოვრებაში ისტორი. ქალი მონა, ქალი-დედა, ქალი აღმდანი, მხოლოდ წარსულ საუკუნეში დიდი ხნისწინობის შემდეგ ქალი, გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზე, როგორც ინტელექტუალური ძალა საზოგადოების, როგორც, წინი მომქმედი წვეწრი.“

ამანდ ქალი აღმოსავლეთში იყო მონა დას მული ახრეზებით და გრძობით და დასავლეთში — გასართობი, ბუღუარის დამამუშვენებელი ტიქინა. თავისი ინტელუკით ქალი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ტიქინობა ბუღუარში ქურდობა ცხოვრებაში და ის გამოდის ბუღუარიდან, რომ შევიდეს ცხოვრებაში ანთებული ჩირაღდანით, რადგან შეიგებო მან, რომ:

„არც კაც ვარა, რომ ცოცხალი მეცდარსა ემსგავსოს. იყვეს სოველში და სოფელსა არიო არიოს!.. დღეს პროცესია დიდი მეტამარფოზის: ქალი მონა და ქალი-დედა იქცევა ქალი აღმანად. მას გზა გნსება, მაგრამ უკან ხეც დახვესტული ტრადიკია, რომელიც კლავს მასში საუყეთესო ლტოლიკელებს. მელაია საუკუნობით შექმნილი ტრადიციის აღმოფხვრისა; საჭიროა ბრძოლა. ბრძოლა კი მოთახოვს მსვერპლს! ეს მსხვერპლი ჩვენგან იქნება ძველის დამთობა, გადავლება და ქალის ახალი სახის შექმნა! სახის ლამაზისა — არა კელუსის! შორს გამთავანებული ტიქინობა! წინ, სალი და ლამაზი ცხოვრებისაკენ!“

დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა ახალგაზრდა მომხსენებელი.

ამის შემდეგ დაიწყო თვით დილა, რომლის ყოველი ნომერი შეერთებული იყო ერთი ძაფით და შესახურებოდა აღებულ იდგას. დილა სწარმოებდა შემდეგი პროგრამით:

განც. 1. „მონა ქალი — ნ. ჩხიკვაძისა, — ელ. მამაცაშვილი. „პარამ-ხანა“ პეტე; „რუქიანის ზღაპარი“ მელიოდუკოშაძისა; ნ. სხივიშვილი; აღმოსავლეთური ცეკვა.“ — ქეთ. ბოკერია.



მე-12 ტენიკუმის მე-7 კლ. კურსის დამთავრების აღსანიშნავად მოწაფობით დილის მოწაფეები: ელ. მამაცაშვილი, თამ. ჭკელიძე, ქეთ. გაბუნია, ნ. სხივიშვილი, ქეთ. ბოკერია, ელ. დათაძე.

აღსანიშნავია, რომ ცეკვის ფორმები შეკრებილი და შეთანხმებულია თვით ბოკერის მიერ, რომლის ყოველ მოძრაობაში შესანიშნავად გაღწეული იქნა თვით მონა ქალის განცდა.



ქეთევან ბოკერია მონა ქალის ცეკვის ასრულებს (საკუთარი).

ვაფართო ცხოვრებაში უზარალო სიყვარული და დიკარგული სიცილით.

აქ არის მთელი სიმძიმე ამ დილისა: მოწაფეობა შენის ცხოვრებაში ამ ანთებუ - ი ჩირაღდნით და ლამობს ქალის ახალი სახის შექმნას, სალი და ლამაზი ცხოვრების მოწყობას.

დილის დადგმა იყო მსახიობ საშა ლორთქიფანიძის, რომელმაც განსაკუთრებული დიდი დიდი სიცილზე მისცა ყოველივეს.

დასასრულ გაიმართა ცეკვა. დამსწრე საზოგადოება და მოწაფეებმა სცენაზე გამოიხიზეს და სამადლოებელი ტაშით დაჯილდოვეს მასწ. რ. ჭორჭია, კლასის დამრიგებელი მირიამ სოხაძე, სასწავლებლის გამგე - გ. გვეგლაშვილი და დილის დამდგმელი სახ. თეატრის მსახიობი საშა ლორთქიფანიძე.

დღამ საამო შთაბეჭდილება დასტოვა თვისი შინაარსით, სიცილით და სახუგეშო იმედით ადგევსო.

ია.

სრულიად საქართველოს ქართველ მსახიობთა კავშირის ურჩილება

(მოკლე ანგარიში)

იენისის 12-ს ტფილისში, მუშათა სასახლის დარბაზში, გაიხსნა ქართველ მსახიობთა ყრილობა, რომელსაც დაესწრო ორასამდე წევრი.

ყრილობა გახსნა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ფაღავამ, რომლის წინადადებით ურჩილობა ფეხზე ადგომით პატივსა სცემს მსოფლიო რევოლუციის ბელად ვლ. ლენინის, საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ ქართველიშვილისა და ახლად გარდაცვლილ რეჟისორ ვ. მჭედლიშვილის ხსოვნას.

ყრილობა ირჩევს საპატიო თავმჯდომარეებად: ა. ლუწარასკის, ა. სუმბათაშვილი-იუენის, დ. კანდელას და კ. მარჯანიშვილს.

პრეზიდიუმში: თავმჯდომარეებად ვ. გუნია, ალ. ახმეტელი და მ. ჭორელი. მდივნებად: გ. ფრონისპირელი და ა. გუგუშვილი.

დიდურ წესრიგის დამტკიცების შემდეგ საბჭოს მოქმედების და წლიურ ანგარიშების შესახებ მოხსენებთ გამოიღიან: ფაღავა, ვასაძე, ჯიქია და ხორავა.

მკირე კამათის შემდეგ ყრილობა ამტკიცებს როგორც საბჭოისა, აგრედვე სარევიზიო კომისიის მოხსენებებს.

საყურადღებო მოხსენებებს აკეთებენ აგრეთვე ბათუმის, ქუთაისისა და სოხუმის წარმომადგენელი.

როგორც გამოირკვა, სათეატრო საქმე რამდენადაც კარგათ და მტკიცეთ ყოფილა დაყენებული ქუთაისში, იმდენად მოიხსენებდა ბათუმსა და სოხუმში. განსაკუთრებით ბათუმში ქართ. თეატრის ბედზე იმდენად ნიადაგ შესუსტებული აღმოჩნდა, რომ ყრილობა იძულებული გახდა განსაკუთრებულ

განყ. II. „ქართველი დედა აკეანთან“ — სურათად. „აივანა“ (სენის ვარდ).

ტატიშვილი, ბოკერია, გვარჯიანი, ლაზრიშვილი; „ქართლის დედის“ ლექსი ილ. ჭავჭავაძის. თამარ ტოპელბერგი. „დედა და შვილი“ — ილ. ჭავჭავაძისა. დედა — ნინო სხივიშვილი. „შვილი — ქეთევან გაბუნია.

განყ. III. იბენის „ტიქინათა სახლიდან“ ნაწყვეტი. ნორა — თამ. ქელიძე; გელმერი — ელ. დათაძე. „ქალი ჩირაღდანი“ — ლექსი ლიდიანის ელ. მამაკაშვილი.

მონაწილეობდენ VIII კლ. მოწაფენი. ამანიარად მაყურებელთა თვალწინ გაიარა ქალის სახემ მონობიდან დაწყებული იბენის ნორაში და დასასრულ ლექსი „ქალი ჩირაღდანი“ ერთგვარი რეზიუმე იყო დილისა: აქ ქალი მონა ჰარამ-ხანის ვიწროებიდან გამოდის ცხოვრების გზაზე და ხელი-ხელს გაყრილი მამაკაცთან მიდის წინ ზღაპრის შესაქმნელად, მაგრამ უღმობელი ცხოვრება ამსხვრევს ოკროვან ოცნებათ და თითქმის შეგობარ-ქმარში უსაშინელეს დრსპოტს აჩენს ქალი მანქანა ავტობატორად დამოკიდებული თავის ქმარზე...

მველეთი ინგრევა და ქალი ანთებული ჩირაღდანიტ აბიჯებს ვიწრო ბუღდარის დირეს და შე-



გულსწყურით მოპყრობოდა და სათანადო ზომების გამოწახვა მიენდო მომავალ ახალ საბჭოს.

წვერთა სის გადასასინჯველ და ახალ წვერთა მისაღებად არჩეულ იქნა სპეციალური კომისია. ყრილობამ მოისმინა მოხსენება ჩვენი კინოწარმოების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სასცენაროთ ამოსაღებ სიუჟეტის და სხვა ყოველმხრივ საქართველო წარმოადგენს უსაზღვრო სიმდიდრეს, ხოლო კინოს სათავეში ამ ეამად მოქცეულნი არიან ისეთნი, რომელთაც სრულიად არა იციან-რა არც საქართველოს ყოფა-ცხოვრებისა და არც კინოს უკანასკნელი სიტყვისა და ტენიისა. ამასთანავე მწუხარებით უნდა აღინიშნოს ის მოვლენა, რომ ქართველ რეჟისორთა და მსახიობთათვის საქართველოს კინოს კარი გამოკეტულია. ყრილობამ ყურადღებით მოისმინა ეს მოხსენება და შესაძლებელი რეზოლუციით დაავალა სიბჭოს დაუყოვნებლივ შეუდგეს ამ საქმის მოწესრიგებას.

ყრილობაზე ბევრი, ძალიან ბევრი საყურადღებო კითხვა გაიჩინა.

ეს ყრილობა, რომელმაც გასტანა მთელი კვირა, ბევრად განირჩეოდა წარსულ ყრილობებისგან.

პირველი ხუთი დღე, ვიდრე არ გაიჩნეოდა „დღურუჯის“ გამოსვლის საკითხი, კრებას ეტყობოდა ნამდვილი საქმიანობა, მაგრამ კორპორაციის შექმნის და მის გამოწვევებ მიზეზების ასხან-განმარტებებმა და საერთო კამათმა მიიღო იმდენად მწვავე ხასიათი, რომ ამ საკითხის გარშემო ყრილობა გაიყო ორ ნაწილად: ერთის მხრივ იყვნენ ეგრედ წოდებული ძველი დამსახურებული მსახიობნი, ხოლო მეორეს მხრივ კორპორაცია „დღურუჯი“ მთელის შემადგენლობით და დრამატულ სტუდიის ახალ კურს-დამთავრებული ახალგაზრდობა.

როგორც აღინიშნეთ, დღურუჯე კამათმა შეიძლია კრება შეიწირა და, დასასრულ, რეჟისორ ახმეტელის პირით „დღურუჯმა“ განაცხადა, რომ ვინაიდან შეიქნა ისეთი პირობები, რომ ჩვენი ერთად ყოფნა, ერთად მუშაობა ყოველ შემთხვევებში მიუგებანია, ვინაიდან ჩვენი გზა დისციპლინისა და მიმართულების მხრივ სულ სხვადასხვანაირია, ამიტომ ჩვენ გავდივართ ამ კავშირიდან და ვეარსებთ ახალ მსახიობთა კავშირს.

ახალგაზრდა სტუდიელები აცხადებენ, რომ მათაც მიუღებლად და შეუღებლად მიიჩნიათ „ძველებთან“ მუშაობა და სტოვევენ დარბაზს.

ახალ კავშირში.

მსახიობთა კავშირის ახალ სექციის კრება იმართება იმავე დღეს, სტუდიის სარკის დიდ დარბაზში.

კრებას თავმჯდომარეობს ალ. ახმეტელი, რომელიც ესალმება ახალგაზრდებთან გვერდში მდებარე ა.კ. ფლავის, ი. ზარდალიშვილს, ეთრეოლიანს და სხვა.

ახალგაზრდა მსახიობნი ერთხმად აღნიშნავენ მრკივე კავშირის შექმნას და მუშაობას.

კრება სახეობი ხასიათს ლებულობს.

ვ. ჯიქიას წინადადებით ახალ მსახიობთა კავშირის საპატიო წევრად ერთხმად ირჩევენ კოტე მარჯანიშვილს.

* * *

უკანასკნელ დღეს ახალ მსახიობთა კავშირის კრებამ გადასინჯა წესდება და მკიერ შესწორების შემდეგ შეუდგა საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნებს ამ დროს დარბაზში შემოდის ამ დღეს მოსკოვიდან დაბრუნებული კ. მარჯანიშვილი. მთელი დარბაზი ხანგრძლივო ტაშით და ოვატებით ეგებება საყვარელ მასწავლებელს. უკანასკნელი, მიუხედავად მგზავრობის გამო დალილობისა, ესალმება-რა ყრილობას, უკმაობას თანამედროვე ხელოვნების ამბებს რუსეთში, უსურვეს ახალგაზრდებს საქმიანობას და თეატრის უშუალო სიყვარულს.

შემდეგ აიხსა ყრილობის მიერ არჩეულ იქნა საბჭო შემდეგის შემადგენლობით: აკაკი ფლავი (თავმჯდომარედ), ვიანესლავ ჯიქია, აკაკი ვასაყი კ. მურღული, ვ. ანჯაფარიძე და პ. კანდელაკი.

სარევიზიო კომისიაში: პ. კობახიძე, პ. კორიშელი და ვ. პატარაია.

კველ კავშირში.

სრ. საქართ. მსახიობთა ყრილობამ, რომელსაც გაეთიშა კორ. „დღურუჯი“, განაგრძო კრება და დღურუჯის მესამე გამოცხანა შემდეგი რეზოლუცია: ყრადლობა ეგებება-რა ყოველგვარ პროგრესულ ჯგუფს ან კორპორაციას სისარულით, რომელიც სათეატრო ცხოვრებაში განახლებას შეიკატანს, იმავე დროს აღიარებს, რომ არსებული კორპორაცია „დღურუჯი“ თავისი გამოსვლით და მანიფესტით ყოველ მიუღებელია და აღნაშფოთებელი, ჰუმობს მათ მანიფესტსა და გამოსვლას“. ეს რეზოლუცია მიღებულია ერთხმად, ერთის გარდა, რომელმაც თავი შეიკავა. დღურუჯის კორპორაცია ამ რეზოლუციის შედგენამდე გავიდა, — გაჯევა 21. აკცი, დარჩა — 112.

დასასრულ კრებამ აირჩია გამგეობა, სარევიზიო კომისია მომავალ მუშაობისათვის. გამგეობა: საპატიო თავმჯდ. ვ. აბაშიძე; ნუტა ჩხეიძე — თავმჯდომ. მ. ქორიძე, ვ. ფრონისპირელი, ა. წუწუნავა, შ. ლაღიანი, ტ. აბაშიძე; საპატიო წევრები: მ. საფ. აბაშიძე, ვ. გუნია, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჩხეიძე, ნ. ვეციკიძე.

მსახიობთა კავშირმა და ახალ მსახიობთა კავშირმა ქონება დაიყვეს...

დამხწრა.

„თეატრი და სხოვრეპა“-ს საღამო

(ივლისის 5 ახალ კლუბში).

ბევრს არ უნახავს ასეთი საღამო და ბევრსაც არ დაეგონებოდა იგი როგორც ერთი მშვენიერი, იმეითი საღამოთავანი.

მრავლად მოზღვავებულ ნაირ ხალხს კლუბის დარბაზი და ბალი ვერ იტყვდა.

დაიწყო თარხნიშვილების მომხიბლავი ჰანგები; ალ. ოლანეზაშვილი ჰიანურზე ააკენსა ჩარეგა, შემდეგ მარო თარხნიშვილი ალ. ოლანეზაშვილის ჰიანურზე მიხედვლ-ზეღმრეტე კილოთი დაამღერა „ნახევარი ცხოვრების გზა ვაგვიღე“. მიუხედავად იმისა, რომ მთელ ბალში ზღვა ხალხს ქოთობდა, ვაქედლით დარბაზი სულგანაბული უქმენდა მაროს ჰანგებს და საშა ოლანეზაშვილის სიმთა ქეითინს. სახელმწიფო ოპერის მსახიობებმა ლალო კაცაძემ და გ. ვენახემ არაჩვეულებრივად გრძნობით იმღერეს,—საზოგადოება ზედი-ზედ იწვევდა მათ მჭურვალე ტამოთ. ცეკვის ოსტატმა არბატოვმა და პრიმაბალერინა ლეონოვამ იცეკვეს „ალმოსავლეთი“,—მათი ტანის მოქნილობა, საუსტოვო რხევა და ყოველი ხაზმოსმა სიამით ავსებდა დარბაზს.—საღამოს მშვენიერებას ოლანე ჩრდილი მოაფინა დისასხლის თამაზა წერეთლის დიქეშამ, როცა საღამოს ერთმა გამგეთავანმა გამოაცხადა: „ჩემგან დამოუკიდებელ მიხეზთა გამო ქიათურაში მოგემწყვედი და ვერ ვასწრებ ჩამოსვლას“. სამაგიეროდ ანწა არლოვა იმღერებდა. ამ განცხადებას საზოგადოება ტამოთ შეხვდა... ანწა არლოვამ მართლდა მოაჯადოვა საზოგადოება თავისი ლამაზი ბოშური სიმღერებით. ბარე შვიდჯერ გამოიხმეს... სახალხო თეატრის—ჯეირანის კორპორაციამ ნ.

ქანკვეტაძის თოსნობით—ქ. მინდიაშვილი, მ. ჰართელიშვილი, ნ. ჩიხლაძე, კრავეიშვილი, ალ. აღამიძე, ელ. იანქოშვილი და რ. ჯიბლაძე მოხდენით წარმოადგინეს ვ. გუნიას „არიე-დარია“. ბალში ორ ადგილას ვაიმართა კაბარე: ერთს ხელმძღვანელობდნენ ცნობილი ყარაიოული სიხარ ზახარინი თავის სტუდენტთა, მოსწრებული სიტყვებით, საარაკო ცეკვით და სტუდენტი კოლია მაისურაძე, კინტოურად მორთული, ხოლო მეორე ადგილას—მსახიობნი. ნიკ. აივაზაშვილის მკირე გუნდმა თვისი საულცხოვო სიმღერებით უზომოდ დაატკბო მონადიმენი. სტუდენტები მეორე დღის დღის 8 საათამდენ ლხინობდნენ. საღამოს განაგებდნენ შალ. იმედაშვილი და ზურ. მეგალობიშვილი, ეხმარებოდნენ სხვა ახალგაზდანი და მანდილოსანნიც, რომელთა ვინაობასაც შემდეგ ნომერში დავებუქდავთ.

დამასწრე.

რედაქციისაგან

ამ ნომრისთვის გამზადებული წერილები: არ, ციხისთავის „ერთი კრების შთაბეჭდილება“, ძველი მუშის „სეთიმბყრობელობასთან ბრძოლაში დღეუ-პულნი, ასოთ-ამწყობი ვასო ურუშაძე“, მ. ქილარჯიშვილის სიტყვა, რეცენზიები, დაბა-სოფელი და სხვ. შემდეგი ნომრისთვის გადაიღო.

ფოტოგრაფია

ფენიონი ჟვანიასი

გადავიდა ახალ ბინაზე—რუსთველის პრ. № 8, მუშათა სასახლის პირდაპირ. ახრულებს ყოველ-ვეარ საფოტოგრაფიო სამუშაოს: იღებს პიროვნულ, ჯგუფობრივ, შენობათა და სხვ. სურათებს, აღიღებს პორტრეტებს ფერადებით და სხვ.

შეკვეთებს ახრულებს რიგზე; ხელოვნურად. სურათების გადაღება დღის 9 ს.—საღ. 6 ს.

აქვე მოიპოება რეგოლიუციის ბელადები

სურათები

„თეატრი და სხოვრეპა“-ს

რედაქცია მოთავსებულია სასახლის ქ. № 5, მეორე სართულში,—ახალი კლუბის შესავალი-დან მარცხენა მხარეს (ყოფ. ჰართ. თეატრი). ღია: დღით 9-3 ს., ნაშუადღევს 5-8 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება დღით 10-2 ს. აქვე მიიღება ხელისმოწერა 1924 წ. ჟურ.

„თეატრი და სხოვრეპა“-ს

წლიურად 10 მან., ნახევარი წლით 6 მან. (გაგზავნი).

- რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

სამგზავრო ბილეთების მიზანა

ბ ი ნ ა ზ ე

რისთვისაც საჭიროა წინასწარი შეკვეთა წერილობით-ან ტელეფონით.

(განთვის ქ. № 3. ტელ. 9—74).

მისატანი ფასი გადასდეს თითო ბილეთზე:

ადგილობრივი მიმოსვლისა
პირდაპირი

მაგარი	რბილი
1 მან.	2 მან.
3 მან.	5 მან.

შაჰვითის ვიღავს თავღავს წინა დღით.



Тифлисской гор. станцией З. К. В. Ж. Д.

В В О Д И Т С Я

доставка пассаж. билетов на дом

на что необходимо заказ письменно или по телефону: (Гановская № 3. тел. 9—74).

за доставку взимается с билета:

в местном сообщении
в прямом

жестк.	мягк.
1 руб.	2 руб.
3 руб.	5 руб.

Прием заказа заканчивается накануне.